საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/ 22

ქ. ბათუმი 31 იანვარი, 2022 წ.

ბსუ-ში 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასკვნითი გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების, ,,სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანების, ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადმეიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილების, ,,ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 22 ოქტომბრის N01-02/187 ბრძანების, ,,ბსუ-ს 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის ცვლილების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 1 ოქტომბრის N01-02/167 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ში **2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასკვნითი გამოცდების ჩატარების თანდართული ინსტრუქცია (დანართი 1).**
2. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ბსუ-ს პორტალაზე წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის განთავსება.
3. ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს და ,,ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფის წევრებს“ დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის პროგრამების პროფესორ-მასწავლებლებისათვის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესისა და წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციების გაწევა.
4. წინამდებარე ბრძანების აღსრულების კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (ა. ბერიძე).
5. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ასევე ველში ,,აკადემიური კალენდარი“) და სტუდენტური პორტალის მეშვეობით ეცნობოს ბსუ-ს სტუდენტებს და პერსონალს.
6. ფაკულტეტებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება.
7. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს,

,,ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფის წევრებს“, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 31 იანვრის
N 01-02/22 ბრძანების
დანართი 1

ბსუ-ში 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასკვნითი გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე ინსტუქცია განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი" ან ,,ბსუ") 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასკვნითი/დამატებითი გამოცდების (შემდგომში - ,,გამოცდა" ან ,,გამოცდები") ორგანიზებულად, დისტანციურად ჩატარების, გადავადების, საგამოცდო ნაშრომების შეფასებისა და გასაჩივრების, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის წესს.

2. 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის გამოცდები უნდა ჩატარდეს ,,პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადმეიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილების, ,,ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 22 ოქტომბრის N01-02/187 ბრძანების, შესაბამისი აკადემიური სტანდარტების და წინამდებარე ინსტრუქციის დაცვით.

3. წინამდებარე წესიდან გამონაკლისები შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ან რექტორის ბრძანებით.

4. გამოცდის გადავადების, საგამოცდო ნაშრომების შეფასებისა და გასაჩივრების, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის, სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში გამოცდების შედეგების დაფიქსირების წესი, ასევე წინამდებარე ინსტრუქციის მიერ განსაზღვრულ დებულებებთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. დასკვნითი გამოცდის ბილეთი

1. სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის (შემდეგში - ,,საგნის წამყვანი ლექტორი") მიერ მზადდება დასკვნითი გამოცდის ბილეთი **არანაკლებ 6 ვარიანტი.** თითოეული ვარიანტი უნდა მოიცავდეს არანაკლებ რვა, **მაქსიმუმ 5 ქულიან** საკითხს (ჯამში - **40** ქულა).
2. რეკომენდებულია:

   ა) დასკვნითი გამოცდის ბილეთში დასმული კითხვა (პრობლემაზე ორიენტირებული, ანალიზი, თემიდან/დიდი საკითხიდან რომელიმე კონკრეტული საკითხის გამოტანა და ა.შ.) ისე იყოს მომზადებული, რომ სტუდენტმა ვერ შეძლოს პასუხის სახელმძღვანელოდან/სალექციო კურსიდან/და სხვ. მისი პირდაპირი კოპირება;

ბ) დასკვნითი გამოცდის საკითხები იყოს დიფერენცირებული შეფასებით, გამოყენებული იქნეს კომბინაციები, როგორც ბილეთის შინაარსში (ამოცანა, ქეისი, ნახაზი და ა.შ), ასევე ქულების მინიჭებაში;

გ) საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიეთითოს შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა (მაგ. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - x სიტყვა).

3. დასკვნითი გამოცდის ბილეთი (არანაკლებ 6 ვარიანტი) ბსუ-სასწავლო პორტალზე (portal.bsu.edu.ge) უნდა აიტვირთოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელის წესის მიხედვით განსაზღვრულ დროს.
4. სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორის მიერ შედგენილ და შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელთან შეთანხმებულ დასკვნითი გამოცდის ბილეთებს, ელექტრონულ პლატფორმაზე ათავსებს (სტუდენტთა ყველა ჯგუფისათვის) ის პროფესორ-მასწავლებელი, რომელიც პასუხიმგებელია სტუდენტთა ნაშრომების გასწორებაზე.
5. დასკვნითი გამოცდის ბილეთის ვიზირებას ახდენს ფაკულტეტის დეკანი ან ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ფაკულტეტის დეკანის ან/და ხარისხის სამსახურის მიერ ვიზირებულ (დაშვებული) ბილეთში ცვლილების შეტანა დაუშვებელია.
6. დახარვეზებული გამოცდის ბილეთი, 1 დღის ვადაში უნდა გასწორდეს რეკომენდაციების შესაბამისად და ხელახლა განთავსდეს პორტალზე.

მუხლი 3. გამოცდების განრიგი, ჩატარების ფორმატი და პერსონალური მონაცემების დაცვა

1. 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასკვნითი გამოცდები უნივერსიტეტში ჩატარდება დისტანციურად, 2022 წლის 30 იანვრიდან 21 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები - საუნივერსიტეტო სივრცეში, კოვიდრეგულაციების დაცვით, 2022 წლის 21 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით.
2. დასკვნით გამოცდაზე ნაშრომის ვერ ატვირთვის შემთხვევაში (გამოუცხადებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ელ. ენერგიის, ინტერნეტის ან სხვა ტენიკური ხარვეზით გამოწვეული ობიექტური მიზეზით), სტუდენტის განცხადების შესწავლის საფუძველზე მას მიეცემა გამოცდების კოვიდრეგულაციების დაცვით საუნივერსიტეტო სივრცეში ხელახლა ჩაბარების უფლება 2022 წლის 21-24 თებერვალს.
3. დამატებით (განმეორებით) გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს სტუდენტს, რომლის საბოლოო შეფასება (მიმდინარე შეფასებისა და გამოცდაზე მიღებული შეფასების ქულათა ჯამით) არის (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა". თუ სტუდენტმა დამატებითი გამოცდისა და შუალედური შეფასების ჯამით მიიღო 41 ქულაზე ნაკლები ან არ შეასრულა საგამოცდო დავალება, ითვლება ჩაჭრილად და ფასდება „(F) ჩაიჭრა" შეფასებით.
4. გამოცდის ჩატარების თარიღი და საათი აისახება პორტალზე, შესაბამისი სასწავლო კურსის (საგნის) გასწვრივ და სტუდენტი გამოცდის დაწყებამდე 1 დღით ადრე (17:00 – 18:00 საათამდე) მიიღებს სმს-ს შეტყობინებას.
5. კომბინირებული გამოცდის შემთხვევაში, ზეპირი გამოცდის თარიღი, დრო და ZOOM-ის ლინკი ასევე განთავსებულია პორტალზე, სიახლეების ველში.
6. დასკვნითი გამოცდის ხანგრძლივობა შეადგენს **4 საათს** (კომბინირებული გამოცდის შემთხვევაში - 3 საათს).
7. გამოცდის ყველა მონაწილის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირადი მონაცემების დაცვა. გამოცდის ზეპირი ფორმატით ჩატარების შემთხვევაში, გამოცდა უნდა ჩაიწეროს სტუდენტის თანხმობით.

მუხლი 4. დასკვნითი გამოცდის ინსტრუქცია სტუდენტისათვის

1. გამოცდის ბილეთი სტუდენტს პორტალზე აესახება გამოცდისათვის განსაზღვრული თარიღსა და დროს (შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. სტუდენტი, რომელიც ვერ გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება ან/და **სტუდენტის დასკვნითი გამოცდის ნაშრომი არ შეფასდება.** დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 20 ქულა).
2. დასკვნით გამოცდა სტუდენტმა უნდა შეასრულოს პორტალზე მითითებულ დროს.

3. დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულ **4 საათში** (კომბინირებული გამოცდისათვის 3 საათი) სტუდენტის მიერ შესაძლებელია საგამოცდო ბილეთის გენერაცია, ჩამოტვირთვა, მოცემული დავალებების შესრულება, ფაილის გადამოწმება ატვირთვამდე (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია უკვე ატვირთული ფაილის ჩანაცვლება ახლით).
4. დასკვნითი გამოცდის ბილეთის ჩამოტვირთვა და შესრულება შესაძლებელია გამოცდისთვის განკუთვნილი დროის ნებისმიერ პერიოდში.
5. შესრულებული საგამოცდო ნაშრომი უნდა აიტვირთოს შემდეგნაირად:

ა) ნაშრომი უნდა შესრულდეს ახალ Word-ის ფაილში ან ჩამოტვირთულ საგამოცდო ბილეთში. ასევე შესაძლებელია მისი შესრულება ხელნაწერი ფორმით (დასურათდეს და გაერთიანდეს Word-ის ან PDF ფაილში);

ბ) Ctrl და S ან შენახვის ღილაკის გამოყენებით უნდა შემოდწმდეს, რომ შესრულებული ნაშრომი შენახულია;

გ) თუ საგამოცდო ნაშრომის მოცულობა აღემატება **5MB-ს**, აუცილებელია შესრულებული საგამოცდო ნაშრომი შეინახოთ PDF ფორმატში და ისე ატვირთოთ პორტალზე (საჭიროების შემთხვევაში მოახდინეთ ფაილის ზომის შემცირება https://www.ilovepdf.com/compress_pdf);

დ) სასურველია ნაშრომი პორტალზე აიტვირთოს შესრულებისთანავე, დროულად და არა გამოცდისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვის ბოლო წუთებში;

ე) სავალდებულოა პორტალზე ატვირთული საგამოცდო ნაშრომი გადაამოწმოთ (თავიდან შედით სისტემაში, ჩამოტვირთეთ თქვენ მიერ ატვირთული ფაილი და დარწმუნდით ფაილში ასახული ტექსტის ნამდვილობაში), უზუსტობის შემთხვევაში, დასკვნითი გამოცდის დროის ამოწურვამდე შესაძლებლობა გაქვთ წაშალოთ და ხელახლა ატვირთოთ სწორი ვარიანტი;

ვ) დასკვნითი გამოცდების მიმდინარეობისას შექმნილი პრობლემების შემთხვევაში (ელ.ენერგია, ინტერნეტი, სხვა ტექნიკური ხარვეზი), სტუდენტმა გონივრულ ვადაში, ბსუ-ს პორტალის მეშვეობით უნდა აცნობოს რექტორს (განცხადება ბსუ-ს რექტორის სახელზე).

6. სტუდენტი ვალდებულია:

ა) გამოცდის ბილეთის დავალება შეასრულოს დამოუკიდებლად, მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით, აკადემიური კეთილსინდისიერების წესების დაცვით (დაუშვებელია - ინტერნეტ რესურსებიდან, სალექციო მასალებიდან, წიგნებიდან ან სხვისი ინტელექტუალური ნაშრომიდან ტექსტის კოპირება და სხვ.). დაუშვებელია სტუდენტის მიერ შუალედური გამოცდის ბილეთის ვარიანტის თვითნებურად შეცვლა;

ბ) გამოცდის ბილეთი შეასრულოს საგამოცდო ბილეთში მითითებული მოცულობის შეზღუდვის შესაბამისად (სიტყვების რაოდენობა, გვერდების რაოდენობა, სიმბოლოების რაოდენობა და სხვა).

მუხლი 5. საგამოცდო ნაშრომის შეფასება

დასკვნითი გამოცდების ნამუშევრები საგნის ლექტორის მიერ უნდა შეფასდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ დადგენილ ვადებში, ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:

ა) 1-25 სტუდენტის შემთხვევაში – 2 დღე;
ბ) 26 – 50 სტუდენტის შემთხვევაში – 3 დღე;
გ) 51-70 სტუდენტის შემთხვევაში – 4 დღე;
დ) 71-120 სტუდენტის შემთხვევაში – 5 დღე;
ე) 121 და მეტი - 7 დღე.